თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი

სოფელ ფარცხისში სასმელი წყლის ჭაბურღილის მოწყობისა და ქსელზე მიერთების სამუშაოების შესყიდვის

სატენდერო დოკუმენტაცია

სარჩევი

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის
2. ტექნიკური დოკუმენტაცია
3. დამატებითი ინფორმაცია.
4. დანართი1 რეკვიზიტები;
5. დანართი 2, ინფორმაცია საწარმოს მიერ სასმელი ან/და სარწყავი წყლის ჭაბურღილის მოწყობის სამუშაოების შესრულების შესახებ.
6. დანართი N3. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შეახებ.
7. დანართი N4. შესასრულებელი სამუშაოების გეგმა-გრაფიკი.
8. დანართი N5. შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა.
9. ნახაზები.

1. ინფორმაცია ტენდერში მონაწილეთათვის

სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის შესახებ“ შესაბამისად. (**http://procurement.gov.ge/)**

პრედენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება.

ტექნიკური დოკუმენტაცია

1.შესყიდვის ობიექტია: სოფელ ფარცხისში სასმელი წყლის ჭაბურღილის მოწყობისა და ქსელზე მიერთების სამუშაოები.

1.1 სამუშაოები უნდა შესრულდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 40 კალენდარული დღის ვადაში.

1.2 . **დაფინანსების წყარო:** 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი

2. შესრულებული სამუშაოების საგარანტიო ვადა მისი ექსპლუატაციაში მიღებიდან არის 1 (ერთი) წელი, რომლის განმავლობაშიც მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა, შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ანგარიშსწორების პირობები:

3.1 უნაღდო ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ეტაპობრივად, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მიხედვით, მიმწოდებლის მიერ მათი შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაციის (შემსყიდველის მიერ დამოწმებული) და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე, მათი წარმოდგენიდან 30 დღის ვადაში.

3.2 ეტაპობრივი ანგარიშსწორება განხორციელდება სახელშეკრულებო ღირებულების 85%-ის ფარგლებში, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების შესაბამისად 3.1 პუნქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

3.3. დასაშვებია წინასწარ ანგარიშსწორება, რომლის შემთხვევაში:

3.3.1 უნაღდო ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ხელშეკრულების ღირებულების 30 %-ის წინასწარი გადახდით მიმწოდებლის მიერ იდენტური ოდენობის თანხაზე საბანკო დაწესებულების მიერ გაცემულ საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემდეგ, (თეთრ სიაში დარეგისტრირებული მიმწოდებლისთვის წარმოსადგენი საბანკო გარანტიის ოდენობა ნახევრდება), რომლის მოქმედების ვადაც 30 დღით უნდა აღემატებოდეს სამუშაოების დასრულების საბოლოო ვადას. ხოლო შემდეგ კი ეტაპობრივად, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მიხედვით შემდეგი პირობებით:

3.3.1.1 შუალედური ანგარიშსწორება მოხდება მიმწოდებლის მიერ სამუშაოების ეტაპობრივი შესრულების დროს, მიმწოდებლის მიერ მათი შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაციის (ფორმა N2-ის), შესაბამისად გაფორმებული შუალედური მიღება-ჩაბარების აქტისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარომოდგენის საფუძველზე, მათი წარმოდგენიდან 10 საბანკო დღის ვადაში. ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების ღირებულების 40% მიმართული იქნება გაცემული ავანსის დასაფარად, ხოლო დარჩენილი 60% ანაზღაურდება შემსყიდველის მიერ. აღნიშნული გრაფიკით ანგარიშსწორება განხორციელდება ავანსის სრულად ამოწურვამდე, ხოლო ამის შემდეგ შესრულებული სამუშაოები ანაზღაურდება სრულად ამ ხელშეკრულების 3.3.2 პუნქტის გათვალისწინებით.

3.3.2 ეტაპობრივი ანგარიშსწორება განხორციელდება სახელშეკრულებო ღირებულების 85%-ის ფარგლებში, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების შესაბამისად ამ ხელშეკრულების 3.3.1.1 პუნქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

4. საბოლოო ანგარიშსწორება:

4.1 საბოლოო ანგარიშსწორება (სახელშეკრულებო ღირებულების 15%-ის ფარგლებში) მოხდება სამუშაოების დასრულების შემდეგ, ს.ს.ი.პ. - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს - აკრედიტაციის ცენტრი“-ს მიერ აკრედიტირებული პირის მიერ გაცემული სამშენებლო-საინჟინრო დასკვნისა, (რომელიც წარმოდგელილი უნდა იყოს სამუშაოების დასრულებიდან, საბოლოო ფორმა #2-ის წარმოდგენიდან 45 კალენდარული დღის ვადაში. ექსპერტიზის ხარჯებს ფარავს მიმწოდებელი) და საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 15 საბანკო დღის ვადაში.

4.2 მიმწოდებელმა დასკვნასთან ერთად უნდა წარმოადგინოს დასკვნის გამცემის შესაბამისი აკრედიტაციის მოწმობის ასლი.

4.3 ექსპერტიზის დასკვნის 4.1 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში წარმოუდგენლობის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულები 0,1%-ის ოდენობით.

5. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს რეკვიზიტები დანართი №1–ის მიხედვით, რომელიც ხელმოწერილი უნდა იყოს საწარმოს ხელმძღვანელის ან უფლებამოსილი პირის მიერ და დამოწმებული უნდა იქნეს საწარმოს ბეჭედით (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში).

6. პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს სასმელი ან/და სარწყავი წყლის ჭაბურღილის მოწყობის სამუშაოების შესრულების გამოცდილება, რისთვისაც მან უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია საწარმოს მიერ სასმელი ან/და სარწყავი წყლის ჭაბურღილის მოწყობის სამუშაოებზე დანართი N2-ის მიხედვით. რომელიც ხელმოწერილი უნდა იყოს საწარმოს ხელმძღვანელის ან უფლებამოსილი პირის მიერ და დამოწმებული უნდა იქნეს საწარმოს ბეჭედით /ბეჭდის არსებობის შემთხვევაში/. დანართში მითითებული ხელშეკრულებ(ებ)ის და მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის ასლები ატვირთული უნდა იქნეს ელექტრონულ სისტემაში. იმ შემთხვევაში თუ წარმოდგენილი დოკუმენტაციით შეუძლებელია ამ პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა, მაშინ პრეტენდენტმა ზემოხსენებულ დოკუმენტებთან ერთად უნდა წარმოადგინოს (სისტემაში ატვირთოს) მის მიერ ხსენებული ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი დოკუმენტების (ფორმა N2-ები) ასლები, რომელიც დადასტურებული უნდა იყოს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ.

7. პრეტენდენტს საკუთრებაში ან/და სარგებლობის უფლებით უნდა გააჩნდეს შესასრულებელი სამუშაოებისთვის საჭირო მანქანა-მეტანიზმები. რისთვისაც უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ დანართი №3–ის მიხედვით, რომელიც ხელმოწერილი უნდა იყოს საწარმოს ხელმძღვანელის ან უფლებამოსილი პირის მიერ და დამოწმებული უნდა იქნეს საწარმოს ბეჭედით (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში).

8. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს დანართი N4 შესასრულებელი სამუშაოების გეგმა-გრაფიკი, რომელიც ხელმოწერილი უნდა იყოს საწარმოს ხელმძღვანელის ან უფლებამოსილი პირის მიერ და დამოწმებული უნდა იქნეს საწარმოს ბეჭედით (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში).

9. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ხარჯთაღრიცხვა, დანართი N5-ისა და მისი N1,N2,N3,N4,N5 ცხრილების მიხედვით, რომელებიც ხელმოწერილი უნდა იყოს საწარმოს ხელმძღვანელის ან უფლებამოსილი პირის მიერ და დამოწმებული უნდა იქნეს საწარმოს ბეჭედით (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში). განუფასებელი დანართი N5-ის და მისი N1,N2,N3,N4,N5 ცხრილების (ხარჯთაღრიცხვის) წარმოუდგენლობა ან ტექნიკური დოკუმენტაციით განსაზღვრული ხარჯთაღრიცხვის ფორმის ცვლილება გამოიწვევს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას.

10. <u>მე-5, მე-6, მე-7, მე-8 და მე-9 პუნქტებით გათვალისწინებული მონაცემები უნდა აიტვირთოს ელექტრონულ სისტემაში.</u>

11. ფასის ცვლილების შემთხვევაში პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს მის მიერ ელექტრონულ სისტემაში საბოლოოდ დაფიქსირებული სატენდერო წინადადების ფასის შესაბამისი ხარჯთაღრიცხვა, დანართი N5-ის და მისი N1,N2,N3,N4,N5,N6 ცხრილების მიხედვით, „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“-ს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის №9 ბრძანების მე-12 მუხლის მე-17 პუნქტის შესაბამისად.

12. შესყიდვის სავარაუდო ღირებულებაზე 20%-ზე მეტით ფასდაკლების შემთხვევაში.

12.1 იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის შედეგად ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“-ს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის №9 ბრძანების მე-11 მუხლის მე-2^1 პუნქტის შესაბამისად პრეტენდენტი ვალდებულია ფასწარმოქმნის ადეკვატურობა და ხარჯთაღრიცხვის ხარისხთან შესაბამისობა დაასაბუთოს სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიურო“-ს დასკვნით ან სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს - აკრედიტაციის ცენტრი“-ს მიერ აკრედიტებული იმ პირის მიერ გაცემული დასკვნით, რომელსაც გააჩნია აკრედიტაცია ამ პუნქტით განსაზღვრული მომსახურების სფეროში. მომსახურების ხარჯებს დაფარავს პრეტენდენტი.

12.2 ტექნიკური დოკუმენტაციის 12.1 პუნქტში განხილული ფაქტის დადგომის შემთხვევაში, მაგრამ აუცილებლად ტენდერისათვის „გამარჯვებული გამოვლენილია“ სტატუსის მინიჭებამდე, „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“-ს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის №9 ბრძანების მე-12 მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად სატენდერო კომისიის მიერ პრეტენდენტს მოეთხოვება, ტექნიკური დოკუმენტაციის 12.1 პუნქტში მოთხოვნილი დასკვნის სისტემის მეშვეობით წარმოდგენა. იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული დასკვნა გაცემული იქნება სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს - აკრედიტაციის ცენტრი“-ს მიერ აკრედიტირებული პირის მიერ, მაშინ პრეტენდენტმა დასკვნასთან ერთად უნდა წარმოადგინოს (დასკვნის გამცემის) შესაბამისი აკრედიტაციის მოწმობის ასლი.

12.3 დასკვნის დედნის წარმოდგენის ვალდებულება პრეტენდენტს დაუდგება ხელშეკრულების გაფორმების მომენტისათვის (ასეთი ფაქტის დადგომის შემთხვევაში).

12.4 პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი დასკვნის დედანი რჩება შემსყიდველ ორგანიზაციაში და დაბრუნებას არ ექვემდებარება.

12.5 პრეტენდენტის მიერ 12.2 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი დასკვნა დაზუსტებას არ ექვემდებარება.

12.6 დასკვნის წარმოუდგენლობა ან/და უარყოფითი დასკვნის (შეუსაბამო: სატენდერო განცხადებასთან, სატენდერო დოკუმენტაციასთან ან/და სისტემის მეშვეობით პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ ტექნიკურ/დაზუსტებულ დოკუმენტაციასთან), წარმოდგენა ან საჭიროების შემთხვევაში, 12.1 და 12.2 პუნქტების მოთხოვნებთან შესაბამისი აკრედიტაციის მოწმობის ასლის წარმოუდგენლობა გამოიწვევს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას.

13. საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

საკვალიფიკაციო მოთხოვნების თანახმად, პრედენდენტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

13.1 იურიდიული პირებისათვის:

ა) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდული პირების რეესტრიდან.

ბ) ცნობა შემოსავლების სამსახურიდან ბიუჯეტის მიმართ დავალიანების არ ქონის შესახებ.

გ) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, იურიდიული პირის ქონებაზე საჯარო სამართლებრივი შეზღუდვის (ყადაღის) არ არსებობის შესახებ.

ე) ცნობა/ამონაწერი, აღსრულების ეროვნული ბიუროდან, მოვალეთა რეესტრში საწარმოს რეგისტრაციის არ არსებობის შესახებ.

13.2 ფიზიკური პირებისათვის:

ა) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი.

ბ) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდული პირების რეესტრიდან.

გ) ცნობა შემოსავლების სამსახურიდან ბიუჯეტის მიმართ დავალიანების არ ქონის შესახებ.

დ) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, იურიდიული პირის ქონებაზე საჯარო სამართლებრივი შეზღუდვის (ყადაღის) არ არსებობის შესახებ.

14. ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემულ უნდა იყოს „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“-ს მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეტაპის დაწყების შემდეგ; ხოლო არარეზიდენტი პრეტენდენტის შემთხვევაში - საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ზემოხსენებული წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეტაპის დაწყებამდე არაუგვიანეს ოცდაათი დღისა.

15. პირველი პუნქტით გათვალისწინებული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები წარმოდგენილი უნდა იქნეს „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“-ს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის №9 ბრძანების მე-12 მუხლის მე-17 პუნქტის გათვალისწინებით. არარეზიდენტმა პრეტენდენტ(ებ)მა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში თუ პრეტენდენტი არ წარმოადგენს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ დოკუმენტებს ან მის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები არ შეესაბამება სატენდერო განცხადებას ან/და სატენდერო დოკუმენტაციას სატენდერო კომისია „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“-ს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის №9 ბრძანების მე-13 მუხლის მე-2 პუნქტების „გ“ და „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად მოახდენს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას.

16. სატენდერო წინადადების ფასი სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მითითებული უნდა იქნეს დღგ-ს გარეშე (იმის მიუხედავად არის თუ არა პრეტენდენტი დღგ-ს გადამხდელად რეგისტრირებული). გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების დადებისას, ხელშეკრულების ღირებულებაში დამატებით იქნება გათვალისწინებული დღგ-ს ოდენობა (+18%), თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი იქნება ცნობა შემოსავლების სამსახურიდან მისი დღგ-ს გადამხდელად რეგისტრაციის შესახებ.

17. ზემოაღნიშნული ცნობა გაცემული უნდა იყოს -- კონკრეტული ტენდერისათვის „მიმდინარეობს ხელშეკრულების მომზადება“ სტატუსის მინიჭებიდან -- ხელშეკრულების გაფორმებამდე პერიოდში.

18. ტექნიკური და საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენა შესაძლებელია განხორციელდეს როგორც ქართულ, ისე უცხოურ ენებზე. დოკუმენტების უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესრულებული (ნოტარიულად დამტკიცებული) თარგმანები ქართულ ენაზე. დოკუმენტაციასთან დაკავშირებული სადავო საკითხების გადაწყვეტისას უცხოურენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის პრიორიტეტის მინიჭების საკითხს გადაწყვეტს სატენდერო კომისია.

ტექნიკური დავალება

	ს. ფარცხისში ჭაბურღილის ბურღვის სამუშაოები; Hბურღ.=100 მ.		
	ცხრილი N1		
N	სამუშაოს დასახელება	განზომ	განზომილება
			სულ
1	2	3	4
1	არტეზიული ჭაბურღილის მოწყობა როტორული ბურღვით,პირდაპირი გარეცხვით სიღრმით-100გ.მ. საბურღი მოწყობილობის ჩაშვება-ამაღლებით, თიხის ხსნარის მომზადებით, სისტემის გასუფთავებით, სამუშაო მოედნისგასუფთავებით.		
2	ბურღვა D=245 L=100გ.მ.	გ.მ.	100
3	III-IVკატ. გრუნტში	გმ	5
	შრომის დანახარჯები	კაც/სთ	8
		მანქ/სთ	2
4	V-VIკატ.გრუნტში	გ.მ.	35
	შრომის დანახარჯები	კაც/სთ	114.8
		მანქ/სთ	28.7
5	იგივე VII კატ. გრუნტში	გ.მ.	25
	შრომის დანახარჯები	კაც/სთ	130
		მანქ/სთ	32.5
6	იგივე VIII კატ. გრუნტში	გ.მ.	20
	შრომის დანახარჯები	კაც/სთ	160
		მანქ/სთ	40
7	იგივე IX კატ. გრუნტში	გ.მ.	15
	შრომის დანახარჯები	კაც/სთ	120
		მანქ/სთ	30

	შრომითი დანახარჯები სულ როტორულ ბურღვაზე.		
8	L100; d245 შრომის ხარჯი	კაც/სთ	532.8
9	საბურღი დანადგ.ურბ-3AM	მანქ/სთ	133.2
10	საბურღი ბორთულ.სატეხიd245მმ	ც	1
11	საცავი მილი d159/4.5 100X1.01	გ.მ.	101
13	ფილტრის პერფორირება d=159	გ.მ.	30
	შრომითი რესურსი	კაც/სთ	60
14	საცავი მილის და ფილტრის ჩაშვება ჭაბურ-ში	გ.მ.	100
	შრომითი რესურსი	კაც/სთ	9
		მანქ/სთ	3
15	სვეტების ტამპონაჟი თიხით	გ.მ.	100
	შრომითი რესურსი	კაც/სთ	20
16	დიზელის საწვავი 133.2X8	ლ	1065.6
17	ზეთი ჰიდრავლიკური 133,2*0,75	ლ	100
18	თიხა ასკანის	კბმ	1.8
19	ხრეში ფრაქციული 5—10 მმ	კბმ	4.2
20	ჭაბურღილის ლუქი (ლითონის)	ც	1
21	ჭაბურღილის გარეცხვა	ც	1
	შრომითი რესურსი	კაც/სთ	4.2
		მანქ/სთ	1.4
22	სამშ. მასალების შემოტანა 100 კმ.მანძილი	ტ	8.5
23	საცავი მილების ირგვლივ დაცემენტება.ხსნარი1X1	კბმ	2
24	ჭაბურღილის დეზინფექცია ქლორის ხსნარით	ც	1
	შრომითი რესურსი	კაც/სთ	12.3
		მანქ/სთ	4.1
25	ჭაბურღილის ამოტუმბვითი სამუშაოები	დღე	2
	შრომითი რესურსი	კაც/სთ	16
		მანქ/სთ	96

	ს. ფარცხისში ჭაბურღილზე ტუმბო-აგრეგატისა და ელმოწყობილობის მონტაჟი		
	ცხრილი N2		
N	სამუშაოს დასახელება	განზომ	განზომილება
			სულ
1	2	3	4
1	ჭაბურღილის ტუმბოს მონტაჟი	ც	1
	შრომითი რესურსი	კაც/სთ	3.9
2	მილების მონტაჟი d63/3 PH20 SDR-17	გ.მ.	70
	შრომითი რესურსი	კაც/სთ	7
3	ელ.მართვის პულტის მონტაჟი	ც	1
	შრომითი რესურსი	კაც/სთ	2.5
4	ჭაბურღილის ტუმბო LEO 4XRSM2; 2.2kv V=6.6კბმ/სთ H=156მ	ც	1
5	ელ. კაბელი რეზინის ორმაგი იზოლაციით კ.გ.3X4 1X2.5	გ.მ.	75
6	მართვის ბლოკი ლითონის კოლოფით შუპკ-პპ-5.5-380	ც	1
10	მილსადენი SDR-17 PN16 63/3.8	გ.მ.	75
11	მუფტა PN 63	ც	6
12	ლითონის ვენტილი d63	ც	2
13	უკუსარქველი d63	ც	1
14	მილტუჩი d63	ც	2
15	მუხლი პლასტმასის	ც	2
16	სამკაპი d63X32X63	ც	1
17	ვენტილი d32	ც	1
18	მილი PN 6 d32	გ.მ.	10
19	უჟანგავი გვარლი d=8მმ	გმ	75

ს. ფარცხისში ჭაბურღილის მართვის ბლოკის ჯიხურის მოწყობა

ცხრილი N3

N	სამუშაოს დასახელება	განზომ	განზომილება
			სულ
1	2	3	4
1	ჭაბურღილის ირგვლივ ბეტონის ფილის მოწყობა კუთხოვანების ჩაბეტონებით B25 ზომ. 150X150X20	კბმ	0.5
	შრომითი რესურსი	კაც/სთ	2.7
2	მანქანები 3.2X3.2	მანქ/სთ	2.11
3	სხვა მასალები	ლარი	
4	ბეტონი მ 250	კბმ	0.5
5	ბადე d=3მმ 70X70	კვმ	2.3
6	კუთხოვანების შედუღება კარკასისათვის	წერტ.	8
7	ელექტროდი 5მმ	კგ	2
8	სენდვიჩის ელემენტ. მონტ. 3ცX2 1.5X1.5	კვმ	8.1
	შრომითი რესურსი	კაც/სთ	9.72
9	სილიკონი	ც	12
10	სამონტაჟო არმატურა	კგ	8
11	სენდვიჩ—პანელი 6მმ	კვმ	6.1
12	კუთხოვანა 80X6	გ.მ.	12
13	კუთხოვანა 50X4	გ.მ.	4
14	კუთხოვანასაგან კარის ჩარჩოს დამზადება-მონტაჟი სენდვიჩის შემავსებლით	ც	1
15	კუთხოვანა 50X4	გ.მ.	6
16	სენდვიჩ—პანელი 6მმ	კვმ	2
17	ანჯამა	ც	2
18	კლიტე	ც	1
19	ლით. კონსტრუქციების შეღებვა 2-ჯერ	კვმ	6.4
20	ზეთოვანი საღებავი BETEK	კგ	6
21	სამშ. მასალების ტრ-ბა 100კმ მანძილზე	ტ	2.5

ს. ფარცხისში ჭაბურღილიდან სადაწნეო რეზერვუარამდე მაგისტრალური ქსელის მოწყობა L=886მ.

ცხრილი N4

N	სამუშაოს დასახელება	განზომ	განზომილება
			სულ
1	2	3	4
1	ქსელის ტრასის გაწმენდა-მოშანდაკება ექსკავატორით	1000კვმ.	5.3
	შრომითი დანახარჯი	კაც/სთ	14.63
	ექსკავატორი დანით	მანქ/სთ	6.2
2	მიწის მოჭრა თხრილში IIIკატ.გრუნტში ექსკავატორით 700X0.6X0.4(სმ)	100კბმ	1.68
	შრომითი დანახარჯი	კაც/სთ	2.58
	ექსკავატორი ჩამჩ.მოც.0.25კბმ.	მანქ/სთ	14.87
3	იგივე ხელით IV კატ. გრუნტში	კბმ	44.7
	შრომითი დანახარჯი	კაც/სთ	177.5
4	თხრილის შევსება ქვიშით 20სმ სისქ. ხელ.	კბმ	49.3
	გრუნტის უკუჩაყრა ექსკავატორით	100კბმ	0.97
	შრომითი დანახარჯი	კაც/სთ	48.8
5	მიწის უკუჩაყ. თხრილ, ხელით 40სმ სისქ.	კბმ	64.74
	შრომითი დანახარჯი	კაც/სთ	78.33
	გრუნტის უკუჩაყრა ექსკავატორით	100კბმ	0.97
	ექსკავატორი დანით	მანქ/სთ	1.1349
	შრომითი დანახარჯი	კაც/სთ	2.6772
6	ქვიშა ტრანსპორტირებით	კბმ	49.3
7	პოლიეთილენის მილების მონტაჟი	100გმ	8.86
	შრომითი დანახარჯი	კაც/სთ	93.03
	სხვა. მანქანები	ლარი	47.84
	სხვა მასალები	ლარი	1.06
8	ურდულის მონტაჟი	ც	1
	შრომითი დანახარჯი	კაც/სთ	3.1
	სხვა მანქანები	ლარი	1.22
	სხვა მასალები	ლარი	1.18

1	3	4	6
9	მილი PN 6 63/2.5 SDR-17	გ.მ.	886
	მუხლი პლასტმასის d63	ც	6
	ელ.ქურო d63	ც	13
	უკუსარქველი d63	ც	1
	მილტუჩი d63	ც	2
	ურდული d63	ც	1
	სამკაპი d63	ც	1
	მუფტა d 63	ც	3
	მილის გარეცხვა დეზინფექციით	100გმ	8.86
	შრომითი დანახარჯი	კაც/სთ	50.24
10	ლითონის მილხიდის მოწყობა 2 ც L=12მ	გ.მ.	24
	შრომითი დანახარჯი	კაც/სთ	12.24
	სხვ. მანქანები	ლარი	5.76
	სხვა მასალები	ლარი	2.88
11	ლითონის მილი d 127/4	გ.მ.	24
12	თბოსაიზოლაციო ბამბა 65/10	გ.მ.	24
13	წყალი ქლორირებული	კბმ	1.1
14	ქსელის დაერთება რეზერვუარზე	1 დაერთ.	1.75
15	რეზერვუარის გადახურვა რკ/ბეტ. ფილებით 300X100X10	კვმ	9
16	რკ/ბეტონის ფილა 300X100X10	ც	3
17	ცემენტის ხსნარის მოჭიმვა რეზერვუარის სახურავზე 5სმ სისქით	კვმ	9
18	ლითონის ხუფი ჩამკეტით 60X60	ც	1
19	ჰიდროიზ. მოწყობა ბიტუმის მასტიკით	კვმ	9
20	ბიტუმის მასტიკა	კგ	120

ს. ფარცხისში ჭაბურღილის სანიტარული ზონის შეღობვის მოწყობა

	ცხრილი N5		
N	სამუშაოს დასახელება	განზომ	სულ
1	2	3	4
1	მიწის მოთხრა ხელით IVკატ. გრუნტში	კბმ	0.9
	შრომითი რესურსი	კაც/სთ	11.25
2	მონოლითური წერტილოვანი საძირკვლების მოწყობა (9ცალი)	კბმ	0.9
	შრომითი რესურსი	კაც/სთ	11.43
	სხვ. მანქანები 3.2X2.75	ლარი	
	ბეტონი მ150	კბმ	0.9
	ლითონის ბოძებიd50/3	მ	18.9
3	მავთულბადის მოწყობა ლით. ბოძებზე	მ	23
4	კუტიკარის მოწყობა	ც	1
5	მავთულბადე d3 50X50	კვმ	34.5
6	მავთული d4	მ	52
7	კუტიკარის დამზადება 150X100 2.5X2.5	ც	1
	ელექტროდი	კგ	3
	ანჯამები d24	ც	2
	ურდული—საკეტით	ც	1
	კუთხოვანა50X50/5	მ	6
	მავთულბადე d3 25X25	კვმ	1.5
8	ლით. კონსტრუქციების შეღებვა 2-ჯერ	კვმ	1.9
	შრომითი რესურსი	კაც/სთ	0.95
9	ზეთოვანი საღებავი	კგ	2.6
10	სამშ. მასალების ტრ-ბა 100კმ მანძილზე	ტ	2.8

დამატებითი ინფორმაცია

სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია. მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის განვითარების, მშენებლობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი - სიმონ გულედანი ტელ: (577 95 50 77); გამგეობის შესყიდვების განყოფილების უფროსი - ვეფხო მესტვირიშვილი ტელ: (577 95 47 51).

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შესაძლოა დაზუსტდეს ან დაიხვეწოს ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში

ხელშეკრულება

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N

ქ. თეთრიწყარო ---- ---------- 2016 წელი

ერთის მხრივ **თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი** (შემდგომში ”შემსყიდველი”) წარმოდგენილი მისი გამგებლის ბესიკ წიკლაურის სახით და მეორეს მხრივ ----------(შემდგომში ”მიმწოდებელი”)წარმოდგენილი ---------- სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობისა და მიმწოდებლის სატენდერო წინადადების საფუძველზე, ელექტრონული ტენდერის (NSPA----------) ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინთა განმარტებები

1.1. ”ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ” (შემდგომში - ”ხელშეკრულება”) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად. აქედან ერთი ეგზემპლიარი გადაეცემა მიმწოდებელს, ორი-შემსყიდველს.

1.2.”ხელშეკრულების ღირებულება” - ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.

1.3. ”დღე” , ”კვირა”, ”თვე” - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4.”შემსყიდველი” - ორგანიზაცია რომელიც ახორციელებს სამუშაოების შესყიდვას.

1.5.”მიმწოდებელი”-პირი, რომელიც ახორციელებს სამუშაოს შესრულებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6.”სამუშაო” - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7.”ტექნიკური დავალება” - N SPA--------- ელექტრონული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალება, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს **თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ფარცხისში სასმელი წყლის ჭაბურღილის მოწყობისა და ქსელზე მიერთების სამუშაოების შესყიდვა /45200000-CPV/.**

2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების აღწერა მოცემულია ტექნიკურ დავალებაში.

3. სტანდარტები და ხარისხი

3.1. ხელშეკრულების ფარგლებში შესასრულებელი სამშენებლო სამუშოების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს სამშენებლო ნორმებითა და წესებით გათვალისწინებულ მოთხოვნებსა და სტანდარტებს.

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1.ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს ------- (----------) ლარს.

4.2. ხელშეკრულების ღირებულებამოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4.3 დაფინანსების წყარო- 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.

5. ანგარიშსწორების ფორმები და ვადები

5. ანგარიშსწორების პირობები:

5.1 უნაღდო ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ეტაპობრივად, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მიხედვით, მიმწოდებლის მიერ მათი შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაციის (შემსყიდველის მიერ დამოწმებული) და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე, მათი წარმოდგენიდან 30 დღის ვადაში.

5.2 ეტაპობრივი ანგარიშსწორება განხორციელდება სახელშეკრულებო ღირებულების 85%-ის ფარგლებში, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების შესაბამისად 5.1 პუნქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

5.3. დასაშვებია წინასწარ ანგარიშსწორება, რომლის შემთხვევაში:

5.3.1 უნაღდო ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ხელშეკრულების ღირებულების 30 %-ის წინასწარი გადახდით მიმწოდებლის მიერ იდენტური ოდენობის თანხაზე საბანკო დაწესებულების მიერ გაცემულ საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემდეგ, (თეთრ სიაში დარეგისტრირებული მიმწოდებლისთვის წარმოსადგენი საბანკო გარანტია ნახევრდება), რომლის მოქმედების ვადაც 30 დღით უნდა აღემატებოდეს სამუშაოების დასრულების საბოლოო ვადას. ხოლო შემდეგ კი ეტაპობრივად, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მიხედვით შემდეგი პირობებით:

5.3.1.1 შუალედური ანგარიშსწორება მოხდება მიმწოდებლის მიერ სამუშაოების ეტაპობრივი შესრულების დროს, მიმწოდებლის მიერ მათი შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაციის (ფორმა N2-ის), შესაბამისად გაფორმებული შუალედური მიღება-ჩაბარების აქტისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარმომდგენის საფუძველზე, მათი წარმოდგენიდან 10 საბანკო დღის ვადაში. ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების ღირებულების 40% მიმართული იქნება გაცემული ავანსის დასაფარად, ხოლო დარჩენილი 60% ანაზღაურდება შემსყიდველის მიერ. აღნიშნული გრაფიკით ანგარიშსწორება განხორციელდება ავანსის სრულად ამოწურვამდე, ხოლო ამის შემდეგ შესრულებული სამუშაოები ანაზღაურდება სრულად ამ ხელშეკრულების 5.3.2 პუნქტის გათვალისწინებით.

5.3.2 ეტაპობრივი ანგარიშსწორება განხორციელდება სახელშეკრულებლო ღირებულების 85%-ის ფარგლებში, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების შესაბამისად ამ ხელშეკრულების 5.3.1.1 პუნქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

5. საბოლოო ანგარიშსწორება:

5.1 საბოლოო ანგარიშსწორება (სახელშეკრულებლო ღირებულების 15%-ის ფარგლებში) მოხდება სამუშაოების დასრულების შემდეგ, ს.ს.ი.პ. - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს - აკრედიტაციის ცენტრი“-ს მიერ აკრედიტირებული პირის მიერ გაცემული სამშენებლო-საინჟინრო დასკვნისა, (რომელიც წარმოდგელილი უნდა იყოს სამუშაოების დასრულებიდან, საბოლოო ფორმა #2-ის წარმოდგენიდან 45 კალენდარული დღის ვადაში. ექსპერტიზის ხარჯებს ფარავს მიმწოდებელი) და საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 15 საბანკო დღის ვადაში.

5.2 მიმწოდებელმა დასკვნასთან ერთად უნდა წარმოადგინოს დასკვნის გამცემის შესაბამისი აკრედიტაციის მოწმობის ასლი.

5.3 ექსპერტიზის დასკვნის 5.1 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში წარმოუდგენლობის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულები 0,1%-ის ოდენობით.

6. მიღება - ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

6.2. შესყიდვის ობიექტის საბოლოო მიღება-ჩაბარება განხორციელდება სამუშაოების დასრულების და ს.ს.ი.პ. - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული დასკვნის შემდეგ, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

7. სამუშაოს შესრულების ვადები

7.1. სამუშაოები უნდა შესრულდეს 2016 წლის ----------დან 2016 წლის -----მდე;

8. შესრულებული სამუშაოს საგარანტიო პირობები

8.1 შესრულებული სამუშაოების საგარანტიო ვადა მისი ექსპლუატაციაში მიღებიდან არის 1 (ერთი) წელი, რომლის განმავლობაშიც შემსრულებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა, შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნიდა არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.

9. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

9.1. შემსყიდველი ვალდებულია:

9.1.1. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

9.1.2. სამუშაოების შესრულების პროცესში საქმის კურსში ჩააყენოს მიმწოდებელი ყველა განსაკუთრებული გარემოებების წარმოშობის შესახებ;

9.1.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოს ღირებულება;

9.1.4. წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს რაიმე დეფექტის ან ნაკლის აღმოჩენის შესახებ;

9.2. შემყიდველი უფლებამოსილია:

9.2.1 განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;

9.2.2 ხელი მოაწეროს სამუშაოების შესრულების აქტს;

9.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

9.3.1. ჰიდროგეოლოგიური დასკვნისა და საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისად დროულად და ხარისხიანად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

9.3.2. სამშენებლო ნორმებისა და წესების სრული დაცვით უზრუნველყოს სამუშაოთა მაღალი ხარისხით შესრულება და მათი დამთავრება დადგენილ ვადებში;

9.3.3. სამუშაოს შესრულების პროცესში შეტყობინების მიღებისთანავე აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაო შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე;

9.3.4. სამუშაოს განხორციელების პროცესში მის ჩაბარებამდე მოქმედი კანონმდებლობისა და ნორმების შესაბამისად, მიიღოს აუცილებელი ზომები ტექნიკური უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფად.

9.3.5 ფარული სამუშაოები აწარმოოს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ ინსპექტირების გამწევი ჯგუფის ზედამხედველობის ქვეშ, იგი ვალდებულია ორი სამუშაო დღით ადრე წერილობით ან/და სიტყვიერად აცნობოს შემსყიდველს აღნიშნული სამუშაოების დაწყების თარიღის შესახებ.

9.3.6. სამშენებლო ობიექტზე თვალსაჩინო ადგილას (შემსყიდველთან შეთანხმებით) უნდა განათავსის საინფორმაციო დაფა, შემსყიდველი მიერ მითითებული ესკიზის შესაბამისად.

9.3.7 ქვეკონტრაქტორთან ხელშეკრულების გაფორმებამდე წერილობით აცნობოს შემსყიდველს აღნიშნულის შესახებ და მხოლოდ შემსყიდველის წერილობით თანხმობის შემთხვევაში გაუფორმოს ხელშეკრულება.

9.4. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

9.4.1. მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება.

10. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

10.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ინსპექტირებას განახორციელებს მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური ზედამხედველობის სამსახურის თანამშრომლები.

10.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებისა და გაწეული სამუშაოს ხარისხის პროცესის კონტროლს.

10.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზრაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

11.1. თუ მიმწოდებელი გადააცილებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადას, დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების 0,3%-ის ოდენობით;

11.2. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ჯარიმის გადახდა ან/და გაუკავოს გადასახდელი თანხიდან.

11.3 გეგმა-გრაფიკის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელი დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების 0,1%-ის ოდენობით;

11.4 გეგმა-გრაფიკის ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 0,3%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ჯარიმის გადახდა ან/და გაუკავოს გადასახდელი თანხიდან.

11.4. საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.5. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან მათი არასათანადოდ შესრულებისას შემსყიდველი იხდის ჯარიმას ჩასარიცხი თანხის 0,3%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;

12.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართი სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად და დაერთვება ხელშეკრულებას.

12.3.ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

12.5. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის აუცილებლობისას ინიციატორი მხარე ვალდებულია არანაკლებ 3 (სამი) დღით ადრე მიმართოს მეორე მხარეს აღნიშნული ცვლილების აუცილებლობის დასაბუთებული წერილობითი თხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში მხარეს უფლება აქვს უარი თქვას ცვლილების განხორციელებაზე.

12.6 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

12.7. მხარე ვალდებულია არანაკლებ 2 (ორი) დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 12.6. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.

12.8.ხელშეკრულება ასევე შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

13. ფორს - მაჟორი

13.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი.

13.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარებისათვის გადაულახავ ან მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველსა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

13.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს იგი თავისი შეხედულებისამებრ მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობებისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.
13.4. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გრძელდება ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე.

14. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

14.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

15. შეტყობინება

15.1ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.
15.2შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

16. გადასახადები და დაბეგვრა

16.1მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

17. სხვა პირობები

17.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
17.2. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

18. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

18.1. ხელშეკრულება ძალაშია 2016 წლის ------- დან და მოქმედებს 2016 წლის----------

19. რეკვიზიტები

---------- ----------

შემსყიდველი **მიმწოდებელი**

დანართი №1

1	პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება	
2	ხელმძღვანელი პირის სახელი და გვარი	
3	პრეტენდენტის იურიდიული/ფაქტიური მისამართი	
4	ელექტრონული მისამართი	
5	პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი	
6	საიდენტიფიკაციო კოდი	
7	მომსახურე ბანკის დასახელება	
8	ანგარიშსწორების ანგარიშის N	
9	ბანკის კოდი	

---------- ბ.ა ხელმოწერა

პრეტენდენტი ორგანიზაცია

დანართი №2

ინფორმაცია

საწარმოს მიერ სასმელი ან/და სარწყავი წყლის ჭაბურღილის მოწყობის სამუშაოებზე გაფორმებული ხელშეკრულებ(ებ)ის შესახებ.

№	შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება	შესრულებული სამუშაოს დასახელება	სამუშაოს შესრულების თარიღი (წელი)	ხელშეკრულების ღირებულება (ლარი)	ფაქტიურად შესრულებულ სამუშაოთა ღირებულება (ლარი)	მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების თარიღი	შენიშვნა

ხელმოწერა ---------- ბ.ა

შენიშვნა: შესრულებული სამუშაოს დასახელების სვეტში უნდა ჩაიწეროს მხოლოდ ის სამუშაოები, რომლებიც დასრულებულია და გაფორმებულია შესაბამისი საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტები. დანართში მითითებული ხელშეკრულებ(ებ)ის და მათი შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტების ასლები უნდა აიტვირთოს ელექტრონულ სისტემაში.

ინფორმაცია **დანართი №3**

საწარმოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ.

N	სატრანსპორტო საშუალების მარკა/მოდელი	რაოდენობა (ცალი)	სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრე
1	2	3	
1			
2			
3			
4			
5			
6			
7			

შენიშვნა: დამატებით წარმოდგენილ იქნას (სისტემაში აიტვირთოს) დანართში მითითებული საკუთარი სატრანსპორტო საშუალებების ქონის შემთხვევაში - თოთოეული სატრანსპორტო საშუალების ტექნიკური პასპორტი, ხოლო სარგებლობის უფლებით ტრანსპორტის ქონის შემთხვევაში კი - მისთვის დროებით სარგებლობაში გადაცემის დამადასტურებელი დოკუმენტი.

დანართი №4

გეგმა-გრაფიკი

№	სამუშაოს დასახელება	1-10 დღე	11-20 დღე	21-30 დღე	31-40 დღე
1	2	3	4	5	6
1	ჭაბურღილის ბურღვის სამუშაოები.				
2	ჭაბურღილზე ტუმბო-აგრეგატისა და ელმოწყობილობის მონტაჟი.				
3	ჭაბურღილის მართვის ბლოკის ჯიხურის მოწყობა.				
4	ჭაბურღილიდან სადაწნეო რეზერვუარამდე მაგისტრალური ქსელის მოწყობა L=886მ.				
5	ჭაბურღილის სანიტარული ზონის შეღობვის მოწყობა.				

ხელმოწერა----------ბ.ა.

	კრებსითი ხარჯთაღრიცხვა დანართი N5		
N	1	2	
	სამუშაოს დასახელება	**შესასრულებელი სამუშაოების ღირებულება (ლარი)**	
1	ჭაბურღილის ბურღვის სამუშაოები (ცხრილი N1)		
2	ჭაბურღილზე ტუმბო-აგრეგატისა და ელმოწყობილობის მონტაჟი (ცხრილი N2)		
3	ჭაბურღილის მართვის ბლოკის ჯიხურის მოწყობა (ცხრილი N3)		
4	ჭაბურღილიდან სადაწნეო რეზერვუარამდე მაგისტრალური ქსელის მოწყობა L=886მ (ცხრილი N4)		
5	ჭაბურღილის სანიტარული ზონის შეღობვის მოწყობა (ცხრილი N5)		
	<u>სულ ჯამი</u>		
	ხელმოწერა----------ბ.ა.		

	ს. ფარცხისში ჭაბურღილის ბურღვის სამუშაოები; Hბურღ.=100 მ.									
							ცხრილი N1			
N	სამუშაოს დასახელება	განზომ	განზომილება	მასალა		ხელფასი		მანქანა-მექანიზმები		ჯამი
			სულ	ერთ	სულ	ერთ	სულ	ერთ	სულ	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
1	არტეზიული ჭაბურღილის მოწყობა როტორული ბურღვით,პირდაპირი გარეცხვით სიღრმით-100გ.მ. საბურღი მოწყობილობის ჩაშვება- ამაღლებით, თიხის ხსნარის მომზადებით, სისტემის გასუფთავებით, სამუშაო მოედნისგასუფთავებით.									
2	ბურღვა D=245 L=100გ.მ.	გ.მ.	100							
3	III-IVკატ. გრუნტში	გმ	5							
	შრომის დანახარჯები	კაც/სთ	8							
		მან/სთ	2							
4	V-VIკატ.გრუნტში	გ.მ.	35							
	შრომის დანახარჯები	კაც/სთ	114.8							
		მან/სთ	28.7							
5	იგივე VII კატ. გრუნტში	გ.მ.	25							
	შრომის დანახარჯები	კაც/სთ	130							
		მან/სთ	32.5							
6	იგივე VIII კატ. გრუნტში	გ.მ.	20							
	შრომის დანახარჯები	კაც/სთ	160							
		მან/სთ	40							
7	იგივე IX კატ. გრუნტში	გ.მ.	15							
	შრომის დანახარჯები	კაც/სთ	120							
		მან/სთ	30							

	შრომითი დანახარჯები სულ როტორულ ბურღვაზე.										
8	L100; d245 შრომის ხარჯი	კაც/სთ	532.8								
9	საბურღი დანადგ.ურბ-3AM	მანქ/სთ	133.2								
10	საბურღი ბორთულ.სატეხიd245მმ	ც	1								
11	საცავი მილიd159/4.5 100X1.01	გ.მ.	101								
13	ფილტრის პერფორირება d=159	გ.მ.	30								
	შრომითი რესურსი	კაც/სთ	60								
14	საცავი მილის და ფილტრის ჩაშვება ჭაბურ-ში	გ.მ.	100								
	შრომითი რესურსი	კაც/სთ	9								
		მანქ/სთ	3								
15	სვეტების ტამპონაჟი თიხით	გ.მ.	100								
	შრომითი რესურსი	კაც/სთ	20								
16	დიზელის საწვავი 133.2X8	ლ	1065.6								
17	ზეთი ჰიდრავლიკური 133,2*0,75	ლ	100								
18	თიხა ასკანის	კბმ	1.8								
19	ხრეში ფრაქციული 5—10 მმ	კბმ	4.2								
20	ჭაბურღილის ლუქი (ლითონის)	ც	1								
21	ჭაბურღილის გარეცხვა	ც	1								
	შრომითი რესურსი	კაც/სთ	4.2								
		მანქ/სთ	1.4								
22	სამშ. მასალების შემოტანა 100 კმ.მანძილი	ტ	8.5								
23	საცავი მილების ირგვლივ დაცემენტება.ხსნარი1X1	კბმ	2								
24	ჭაბურღილის დეზინფექცია ქლორის ხსნარით	ც	1								
	შრომითი რესურსი	კაც/სთ	12.3								
		მანქ/სთ	4.1								
25	ჭაბურღილის ამოტუმბვითი სამუშაოები	დღე	2								
	შრომითი რესურსი	კაც/სთ	16								
		მანქ/სთ	96								
ჯამი											
ზედნადები ხარჯები ----------%											
ჯამი											
გეგმიური დაგროვება ----------%											
ჯამი											
გაუთვალისწინებელი ხარჯი 3%											
სულ ჯამი											
	ხელმოწერა----------ბ.ა.										

ს. ფარცხისში ჭაბურღილზე ტუმბო-აგრეგატისა და ელმოწყობილობის მონტაჟი

ცხრილი N2

N	სამუშაოს დასახელება	განზომ	განზომილება	მასალა		ხელფასი		მანქანა-მექანიზმები		ჯამი
			სულ	ერთ	სულ	ერთ	სულ	ერთ	სულ	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
1	ჭაბურღილის ტუმბოს მონტაჟი	ც	1							
	შრომითი რესურსი	კაც/სთ	3.9							
2	მილების მონტაჟი d63/3 PH20 SDR-17	გ.მ.	70							
	შრომითი რესურსი	კაც/სთ	7							
3	ელ.მართვის პულტის მონტაჟი	ც	1							
	შრომითი რესურსი	კაც/სთ	2.5							
4	ჭაბურღილის ტუმბო LEO 4XRSM2; 2.2kv V=6.6კბმ/სთ H=156მ	ც	1							
5	ელ. კაბელი რეზინის ორმაგი იზოლაციით კ.გ.3X4 1X2.5	გ.მ.	75							
6	მართვის ბლოკი ლითონის კოლოფით შუპკ-პპ-5.5-380	ც	1							
10	მილსადენი SDR-17 PN16 63/3.8	გ.მ.	75							
11	მუფტა PN 63	ც	6							
12	ლითონის ვენტილი d63	ც	2							
13	უკუსარქველი d63	ც	1							
14	მილტუჩი d63	ც	2							
15	მუხლი პლასტმასის	ც	2							
16	სამკაპი d63X32X63	ც	1							
17	ვენტილი d32	ც	1							
18	მილი PN 6 d32	გ.მ.	10							
19	უჟანგავი გვარლი d=8მმ	გმ	75							
			ჯამი							
			ზედნადები ხარჯები ხელფასიდან----%							
			ჯამი							
			გეგმიური დაგროვება---------%							
			ჯამი							
			გაუთვალისწინებელი ხარჯი3%							
			სულ ჯამი							

ხელმოწერა----------ზ.ა.

	ს. ფარცხისში ჭაბურღილის მართვის ბლოკის ჯიხურის მოწყობა									
							ცხრილი N3			
N	სამუშაოს დასახელება	განზომ	განზომილება	მასალა		ხელფასი		მანქანა-მექანიზმები		ჯამი
			სულ	ერთ	სულ	ერთ	სულ	ერთ	სულ	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
1	ჭაბურღილის ირგვლივ ბეტონის ფილის მოწყობა კუთხოვანების ჩაბეტონებით B25 ზომ. 150X150X20	კბმ	0.5							
	შრომითი რესურსი	კაც/სთ	2.7							
2	მანქანები 3.2X3.2	მანქ/სთ	2.11							
3	სხვა მასალები	ლარი								
4	ბეტონი მ 250	კბმ	0.5							
5	ბადე d=3მმ 70X70	კვმ	2.3							
6	კუთხოვანების შედუღება კარკასისათვის	წერტ.	8							
7	ელექტროდი 5მმ	კგ	2							
8	სენდვიჩის ელემენტ. მონტ. 3ცX2 1.5X1.5	კვმ	8.1							
	შრომითი რესურსი	კაც/სთ	9.72							
9	სილიკონი	ც	12							
10	სამონტაჟო არმატურა	კგ	8							
11	სენდვიჩ—პანელი 6მმ	კვმ	6.1							
12	კუთხოვანა 80X6	გ.მ.	12							
13	კუთხოვანა 50X4	გ.მ.	4							
14	კუთხოვანასაგან კარის ჩარჩოს დამზადება-მონტაჟი სენდვიჩის შემავსებლით	ც	1							
15	კუთხოვანა 50X4	გ.მ.	6							
16	სენდვიჩ—პანელი 6მმ	კვმ	2							
17	ანჯამა	ც	2							
18	კლიტე	ც	1							
19	ლით. კონსტრუქციების შეღებვა 2-ჯერ	კვმ	6.4							
20	ზეთოვანი საღებავი BETEK	კგ	6							
21	სამშ. მასალების ტრ-ბა 100კმ მანძილზე	ტ	2.5							
ჯამი										
ზედნადები ხარჯები------%										
ჯამი										
გეგმიური დაგროვება --------%										
ჯამი										
გაუთვალისწინებელი ხარჯი 3%										
სულ ჯამი										
	ხელმოწერა----------ზ.ა.									

ს. ფარცხისში ჭაბურღილიდან სადაწნეო რეზერვუარამდე მაგისტრალური ქსელის მოწყობა L=886მ.

ცხრილი N4

N	სამუშაოს დასახელება	განზომ	განზომილება	მასალა		ხელფასი		მანქანა-მექანიზმები		ჯამი
			სულ	ერთ	სულ	ერთ	სულ	ერთ	სულ	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
1	ქსელის ტრასის გაწმენდა-მოშანდაკება ექსკავატორით	1000კვმ.	5.3							
	შრომითი დანახარჯი	კაც/სთ	14.63							
	ექსკავატორი დანით	მანქ/სთ	6.2							
2	მიწის მოჭრა თხრილში IIIკატ.გრუნტში ექსკავატორით 700X0.6X0.4(სმ)	100კბმ	1.68							
	შრომითი დანახარჯი	კაც/სთ	2.58							
	ექსკავატორი ჩამჩ.მოც.0.25კბმ.	მანქ/სთ	14.87							
3	იგივე ხელით IV კატ. გრუნტში	კბმ	44.7							
	შრომითი დანახარჯი	კაც/სთ	177.5							
4	თხრილის შევსება ქვიშით 20სმ სისქ. ხელ.	კბმ	49.3							
	გრუნტის უკუჩაყრა ექსკავატორით	100კბმ	0.97							
	შრომითი დანახარჯი	კაც/სთ	48.8							
5	მიწის უკუჩაყ. თხრილ, ხელით 40სმ სისქ.	კბმ	64.74							
	შრომითი დანახარჯი	კაც/სთ	78.33							
	გრუნტის უკუჩაყრა ექსკავატორით	100კბმ	0.97							
	ექსკავატორი დანით	მანქ/სთ	1.1349							
	შრომითი დანახარჯი	კაც/სთ	2.6772							
6	ქვიშა ტრანსპორტირებით	კბმ	49.3							
7	პოლიეთილენის მილების მონტაჟი	100გმ	8.86							
	შრომითი დანახარჯი	კაც/სთ	93.03							
	სხვა. მანქანები	ლარი	47.84							
	სხვა მასალები	ლარი	1.06							
8	ურდულის მონტაჟი	ც	1							
	შრომითი დანახარჯი	კაც/სთ	3.1							
	სხვა მანქანები	ლარი	1.22							
	სხვა მასალები	ლარი	1.18							

1	3	4	6							
9	მილი PN 6 63/2.5 SDR-17	გ.მ.	886							
	მუხლი პლასტმასის d63	ც	6							
	ელ.ქურო d63	ც	13							
	უკუსარქველი d63	ც	1							
	მილტუჩი d63	ც	2							
	ურდული d63	ც	1							
	სამკაპი d63	ც	1							
	მუფტა d 63	ც	3							
	მილის გარეცხვა დეზინფექციით	100გმ	8.86							
	შრომითი დანახარჯი	კაც/სთ	50.24							
10	ლითონის მილხიდის მოწყობა 2 ც L=12მ	გ.მ.	24							
	შრომითი დანახარჯი	კაც/სთ	12.24							
	სხვ. მანქანები	ლარი	5.76							
	სხვა მასალები	ლარი	2.88							
11	ლითონის მილი d 127/4	გ.მ.	24							
12	თბოსაიზოლაციო ბამბა 65/10	გ.მ.	24							
13	წყალი ქლორირებული	კბმ	1.1							
14	ქსელის დაერთება რეზერვუარზე	1 დაერთ.	1.75							
15	რეზერვუარის გადახურვა რკ/ბეტ. ფილებით 300X100X10	კვმ	9							
16	რკ/ბეტონის ფილა 300X100X10	ც	3							
17	ცემენტის ხსნარის მოჭიმვა რეზერვუარის სახურავზე 5სმ სისქით	კვმ	9							
18	ლითონის ხუფი ჩამკეტით 60X60	ც	1							
19	ჰიდროიზ. მოწყობა ბიტუმის მასტიკით	კვმ	9							
20	ბიტუმის მასტიკა	კგ	120							
	ჯამი									
	ზედნადები ხარჯები ----------%									
	ჯამი									
	გეგმიური დაგროვება ----------%									
	ჯამი									
	გაუთვალისწინებელი ხარჯი 3%									
	სულ ჯამი									
	ხელმოწერა----------ზ.ა.									

ს. ფარცხისში ჭაბურღილის სანიტარული ზონის შეღობვის მოწყობა

ცხრილი N5

N	სამუშაოს დასახელება	განზომ		მასალა		ხელფასი		მანქანა-მექანიზმები		ჯამი
			სულ	ერთ	სულ	ერთ	სულ	ერთ	სულ	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
1	მიიწის მოთხრა ხელით IVკატ. გრუნტში	კბმ	0.9							
	შრომითი რესურსი	კაც/სთ	11.25							
2	მონოლითური წერტილოვანი საძირკვლების მოწყობა (9ცალი)	კბმ	0.9							
	შრომითი რესურსი	კაც/სთ	11.43							
	სხვ. მანქანები 3.2X2.75	ლარი								
	ბეტონი მ150	კბმ	0.9							
	ლითონის ბოძებიd50/3	მ	18.9							
3	მავთულბადის მოწყობა ლით. ბოძებზე	მ	23							
4	კუტიკარის მოწყობა	ც	1							
5	მავთულბადე d3 50X50	კვმ	34.5							
6	მავთული d4	მ	52							
7	კუტიკარის დამზადება 150X100 2.5X2.5	ც	1							
	ელექტროდი	კგ	3							
	ანკამები d24	ც	2							
	ურდული—საკეტით	ც	1							
	კუთხოვანა50X50/5	მ	6							
	მავთულბადე d3 25X25	კვმ	1.5							
8	ლით. კონსტრუქციების შეღებვა 2-ჯერ	კვმ	1.9							
	შრომითი რესურსი	კაც/სთ	0.95							
9	ზეთოვანი საღებავი	კგ	2.6							
10	სამშ. მასალების ტრ-ბა 100კმ მანძილზე	ტ	2.8							
		ჯამი								
		ზედნადები ხარჯები --------%								
		ჯამი								
		გეგმიური დაგროვება ----------%								
			ჯამი							
			გაუთვალისწინებელი ხარჯი3%							
		სულ ჯამი								

შენიშვნა:

1) გაუთვალისწინებელი ხარჯის 3%-ის შემცირება დაუშვებელია.

2) ზედნადები ხარჯებისა და გეგმიური მოგების პროცენტული ოდენობები განსაზღვრული უნდა იყოს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N55 დადგენილების შესაბამისად.

3) ხარჯთაღრიცხვაში მითითებული ციფრები დამრგვალებილი უნდა იყოს მეასედებამდე.

ხელმოწერა---------- ბ.ა.